



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/3275-15

6 ოქტომბერი, 2015 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი – ქეთევან მესხიშვილი,
მოსამართლეები – გოდერძი გიორგიშვილი, ნატალია ნაზლაიძე

სხდომის მდივანი – დარეჯან ბიძინაშვილი

აპელანტი - სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯ. კ.“

წარმომადგენელი - თ. ე.

მოწინააღმდეგე მხარე - გ. კ.

კანონიერი წარმომადგენლები - ნ. კ., ი. კ.

თავდაპირველი მოპასუხე - ნ. მ.

წარმომადგენელი - ქ. უ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება

დავის საგანი - იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა

1. აპელანტის მოთხოვნა - გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილებების დასკვნებზე მითითება

გ. კ.-ს მიერ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯ. კ.-სა“ და ნ. მ.-ს მიმართ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნა:

- ბათილად იქნეს ცნობილი, ერთი მხრივ, გ. კ.-ს კანონიერი წარმომადგენლების, ი. კ.-სა და ნ. კ.-ს და, მეორე მხრივ, სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯ. კ.-ს“ შორის 2009 წლის 4 ნოემბერს დადებული იპოთეკის ხელშეკრულება.



- ბათილად იქნეს ცნობილი ერთი მხრივ, გ. კ.-ს კანონიერი წარმომადგენლების ი. კ.-სა და ნ. კ.-ს და მეორე მხრივ, ს/ს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯ. კ.-ს“ შორის 2010 წლის 22 მარტს დადებული იპოთეკის ხელშეკრულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

1. გ. კ.-ს სარჩელი ს/ს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯ. კ.-ს“ და ნ. მ.-ს მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

1.1. ბათილად იქნა ცნობილი ერთი მხრივ, გ. კ.-ს კანონიერი წარმომადგენლების ი. კ.-სა და ნ. კ.-ს და მეორე მხრივ, ს/ს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯ. კ.-ს“ შორის 2009 წლის 4 ნოემბერს დადებული იპოთეკის ხელშეკრულება.

1.2. ბათილად იქნა ცნობილი ერთი მხრივ, გ. კ.-ს კანონიერი წარმომადგენლების ი. კ.-სა და ნ. კ.-ს და მეორე მხრივ, ს/ს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯ. კ.-ს“ შორის 2010 წლის 22 მარტს დადებული იპოთეკის ხელშეკრულება.

2. გ. კ.-ს სარჩელი ნ. მ.-ს მიმართ არ დაკმაყოფილდა.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. ნ. კ. და ი. კ. წარმომადგენენ გ. კ.-ს მშობლებს.

მტკიცებულება:

- გ. კ.-ს დაბადების მოწმობა ნკ#XXXXXX.

2.2. 2009 წლის 4 ნოემბერს ს/ს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯ. კ.-ს“ და ი. კ.-ს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ი. კ.-მ სესხის სახით მიიღო 4 000 აშშ დოლარი, 12 თვის ვადით.

მტკიცებულება:

- 2009 წლის 4 ნოემბრის საკრედიტო ხელშეკრულება #XXXX.

2.3. აღნიშნული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა გ. კ.-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. ხაშური, მარჯანიშვილის ქ. #XX (ს/კ XX.XX.XX.XXX). საცხოვრებელი სახლი არასრულწლოვანს მიღებული აქვს 2008 წლის 4 იანვრის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე.

მტკიცებულება:

- 2009 წლის 4 ნოემბრის ხელშეკრულება #XXXX;

- 2008 წლის 4 იანვრის ჩუქების ხელშეკრულება.

2.4. 2010 წლის 22 მარტს ს/ს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯ. კ.-ს“ და ი. კ.-ს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, ი. კ.-მ სესხის სახით მიიღო 3 000 აშშ დოლარი, 12 თვის ვადით. ამ ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე, იპოთეკით დაიტვირთა გ.



კ.-ს საკუთრებაში არსებული ქ. ხაშური, მარჯანიშვილის ქ. #XX-ში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ XX.XX.XX.XXX).

მტკიცებულება:

- 2010 წლის 22 მარტის სესხის ხელშეკრულება #XXXX;
- 2010 წლის 22 მარტის იპოთეკის ხელშეკრულება #XXXX.

2.5. 2009 წლის 4 ნოემბრისა და 2010 წლის 22 მარტის ხელშეკრულებებს ხელს აწერენ გ. კ.-ს კანონიერი წარმომადგენლები, ნ. კ. და ი. კ. დასახელებული ხელშეკრულებები დამოწმებულია ნოტარიუს ნ. მ.-ს მიერ.

2.6. 2009 წლის 4 ნოემბრის და 2010 წლის 22 მარტის იპოთეკის ხელშეკრულებების გაფორმებისას გ. კ. იყო 5 წლის (დაბადებულია 2005 წლის XX ივლისს).

მტკიცებულება:

- გ. კ.-ს დაბადების მოწმობა ნკ#XXXXXX.

2.7. 2011 წლის 21 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მხარეთა შორის შედგა მორიგება, რომელიც დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული განჩინებით. ამ მორიგების საფუძველზე, ი. კ.-მ აღიარა ს/ს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯ. კ.-ს“ მიმართ 2011 წლის 21 აპრილის მდგომარეობით არსებული დავალიანება 5 041,33 აშშ დოლარი და იკისრა ვალდებულება დაეფარა შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად. ამავე მორიგების აქტის მე-3 პუნქტში დავალიანების დაფარვა უზრუნველყოფილია გ. კ.-ს საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებით.

მტკიცებულება:

- 2011 წლის 21 აპრილის მორიგების აქტი;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 აპრილის განჩინება

2.8. 2011 წლის 3 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის საფუძველზეც, მოხდა გ. კ.-ს საკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუქციონის წესით რეალიზაცია.

მტკიცებულება:

- 2011 წლის 3 აგვისტოს სააღსრულებო ფურცელი.

2.9. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს 2012 წლის 14 ივნისის განკარგულების საფუძველზე, ქ. ხაშური, მარჯანიშვილის ქ. #XX-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ XX.XX.XX.XXX) მესაკუთრე გახდა თ. დ..

მტკიცებულება:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით

2.10. სამოქალაქო კოდექსი ამკვიდრებს სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპს, რომელიც მიმართულია არასრულწლოვანის ქონებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად.



პირის შესაძლებლობა, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადოს ხელშეკრულება (ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი) განხორციელებადია იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია ნება, გამოიყენოს ზემოთდასახელებული შესაძლებლობა და გამოავლინოს იგი მისთვის სასურველი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნების გამოვლენა არის გამიზნული სამართლებრივი შედეგის დადგომისაკენ მიმართული სუბიექტური ნების ობიექტურად შეცნობადი გაცხადება. ზემოაღნიშნული შესაძლებლობა, კერძოდ, პირის უნარი, იქონიოს სამოქალაქო უფლებები და იკისროს სამოქალაქო ვალდებულებები, უკავშირდება უფლებაუნარიანობას (სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილი), ხოლო ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები - ქმედუნარიანობას (სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილი).

არასრულწლოვანი, თავისი ასაკიდან გამომდინარე, ითვლება სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადების უნარის არმქონედ. მას არ შესწევს უნარი, კანონიერი წარმომადგენლისაგან დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში ან ნებისმიერ სხვა სფეროში და თვითონ გამოავლინოს ნება გარიგების დადების მიზნით, განახორციელოს ნებელობითი აქტივობა გარიგების დადებასა და შესრულებასთან დაკავშირებით და ამგვარი ნების გამოვლენით შეიზოგოს თავი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებებით. სამოქალაქო კოდექსი არასრულწლოვნის სამართლებრივ სტატუსს იურიდიული შინაარსის მიხედვით ორ კატეგორიად განიხილავს. კერძოდ, 0-7 წლამდე (მცირეწლოვანი), რომელსაც ტოტალური ქმედუნაროს სტატუსი გააჩნია და 7-18 წლამდე - (არასრულწლოვანი), რომელიც სარგებლობს ქმედუნარიანობის შეზღუდული ფარგლებით. პირველ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილი მცირეწლოვნის მიერ ნების გამოვლენას უპირობოდ ბათილ გარიგებად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, იღებს თუ არა არასრულწლოვანი პირი სამართლებრივ სიკეთეს, ან არსებობს თუ არა მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. მცირეწლოვნის მხრიდან ნების გამოვლენა ხდება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს მხოლოდ მცირეწლოვანის ინტერესების შესაბამისად. რაც შეეხება შეზღუდული ქმედუნარიანის მიერ ნების გამოვლენას, სამოქალაქო კოდექსის 63-ე მუხლი ასეთ გარიგებებს საცილო გარიგებათა რიცხვს მიაკუთვნებს, სადაც ნების გამოვლენის იურიდიული მნიშვნელობა ორ ალტერნატიულ სავალდებულო პირობაზეა დამოკიდებული: იღებს თუ არა არასრულწლოვანი პირი სარგებელს, ან არსებობს თუ არა არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლის მოწონება (თანხმობა) გარიგების თაობაზე. თუმცა, 7-18 წლამდე არასრულწლოვანი პირისათვის ნების გამოვლენის შეზღუდულად მინიჭება არ გამორიცხავს მისი კანონიერი წარმომადგენლის შესაძლებლობას, დამოუკიდებლად დაამყაროს სამართლებრივი ურთიერთობა არასრულწლოვნის სახელით, მისივე აქტივების გამოყენებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან, მათ შორის - სასამართლოში.

საკითხის მართებული შეფასებისათვის, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს მშობლის უფლება-მოვალეობები შვილის მიმართ და მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

სამოქალაქო კოდექსის მე-5 წიგნის მე-2 კარის მე-2 თავის სათაურია „მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ“. ეს სათაური უფლება-მოვალეობებს ფართო გაგებით



მოიაზრებს, რადგან მასში შემავალი მუხლები ეხება როგორც მშობლის უფლება-მოვალეობებს, ისე მშობლის, როგორც კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილებას, ასევე ნორმა-პრინციპს (1199-ე მუხლი), რომელიც განსაზღვრავს ამ უფლებათა განხორციელებას ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლი, რომელიც დასათაურებულია, როგორც: „მშობელთა მოვალეობანი შვილების მიმართ“, პუნქტობრივად მიჯნავს ერთმანეთისგან საკუთრივ მშობლის უფლება-მოვალეობებს შვილების მიმართ (პირველი-მე-5 ნაწილები) და მშობლის, როგორც შვილის წარმომადგენლის უფლებამოსილებას (მე-6 ნაწილი).

ამდენად, სამოქალაქო კანონმდებლობა მიჯნავს ერთმანეთისაგან მშობლის უფლება - მოვალეობებს, რომელიც გულისხმობს ურთიერთობებს მშობელსა და შვილს შორის და მშობლის, როგორც კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილებას, რომლის ფუნქციაა, უზრუნველყოს არასრულწლოვანი პირის ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში.

განსხვავებით მშობლის უფლება-მოვალეობებისაგან, რაც დეტალურად არის მოწესრიგებული საოჯახო-სამართლებრივი ნორმებით, კანონი მოწესრიგების მიღმა ტოვებს კანონიერი წარმომადგენლის მოქმედების სივრცეს.

სამოქალაქო კოდექსის 1199-ე მუხლი, რომელიც ნორმა-პრინციპის სახით არის დეკლარირებული, განსაზღვრავს, რომ მშობლის უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს. ცალსახაა, რომ ეს ნორმა შემზღუდავ ფუნქციას ასრულებს იმ უფლებათა განხორციელებისას, რომლებიც მშობელს გააჩნია უშუალოდ ბავშვთან მიმართებაში. ამ პრინციპის სრულფასოვნად განხორციელებას კანონი არ მიაწოდებს მხოლოდ თავად მშობლის ბიოლოგიურ და მორალურ-ეთიკურ საწყისებზე დაფუძნებულ თვითკონტროლის მექანიზმს, არამედ ქმნის სპეციალურ ინსტიტუტს - მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო განხორციელებს თავის პოზიტიურ ვალდებულებას ბავშვთა უფლებების დაცვის საუკეთესოდ უზრუნველყოფის მიზნით. ამგვარად, შვილის მიმართ მშობლის მართლზომიერი ქცევის კონტროლზე გარკვეულ ფარგლებში პასუხისმგებელია სოციალური მომსახურების ორგანო, რაც კანონით არის მოწესრიგებული. კანონით ასევე არის გაწერილი მისი ფუნქციებიც.

შეფასებას საჭიროებს საკითხი, თუ რამდენად ვრცელდება ეს შემზღუდავი რეგულირება მშობლის, როგორც ბავშვის წარმომადგენლის მოქმედებისას. კანონმდებელი ღიად ტოვებს ამ საკითხს. ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სპეციფიკა, რაც ოჯახურ სფეროს სცილდება და მესამე პირების უფლება-მოვალეობებთან აკავშირებს ბავშვის ინტერესებს. არ არსებობს საკანონმდებლო რეგულირება იმისა, თუ რა ბედი ეწევა ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ განხორციელებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში დადებულ გარიგებას. ეს საკითხი მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 1199-ე მუხლით დადგენილი ნორმა-პრინციპის ფარგლებში მოქცევით ვერ იქნება ამომწურავად მოწესრიგებული, რადგან აუცილებელია ამ პრინციპის დარღვევის სამართლებრივი შედეგების დადგენა, რათა მესამე პირებისთვის უზრუნველყოფილი იყოს სამართლებრივი სიცხადე. მეორე მხრივ, ასეთი შედეგის განსაზღვრის პირობებში საჭიროა ინსტიტუციური მოწესრიგებაც, კერძოდ, მაკონტროლებელი მექანიზმის - სუბიექტის და პროცედურის განსაზღვრა, თუ რომელი ორგანოს და რა წესის მიხედვით უნდა მოხდეს მესამე პირებთან დადებული გარიგებების შესაბამისობის დადგენა ბავშვის ინტერესებთან. ასევე, - რა კატეგორიის გარიგებები უნდა დაექვემდებაროს ასეთ კონტროლს. ამგვარი საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობა სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ კანონმდებელმა ღიად დატოვა ეს საკითხი და სადავოობისას სასამართლოს მიანდო მისი შეფასება.



თუკი ასე არ აიხსნება კანონმდებლის ნება, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ კანონმა მიზანმიმართულად უსაზღვრო ძალაუფლება მიაწოდა მშობლებს მესამე პირებთან ბავშვის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაში. ასეთი ახსნა კი წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფოს მიერ ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებთან, ასევე საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ბავშვის უფლებებთან.

ის გარემოება, რომ კანონმდებელს მიზანმიმართულად არ სურდა მშობლებისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას შეუზღუდავი ძალაუფლების მინიჭება, არამედ - ღიად დატოვა საკითხი და სასამართლოს მიანდო სადავოობისას მისი შეფასება, ცხადი ხდება ნორმის სისტემური ანალიზის შედეგადაც. კერძოდ, შეუძლებელია, კანონს გაუმართლებლად არათანაბარ მდგომარეობაში ჩაეყენებინა ბავშვის ინტერესები, რომლის წარმომადგენელიც მშობელია, შედარებით მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვის ინტერესებთან (სამოქალაქო კოდექსის 1294-ე მუხლის თანახმად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე მეურვეს უფლება არა აქვს სამეურვეო პირის სახელით დადოს გარიგება, ხოლო მზრუნველს სამზრუნველო პირის სახელით დათანხმდეს გარიგების დადებაზე, რომელიც შეეხება ქონების გასხვისებას, დაგირავებას, ათ წელზე მეტი ვადით გაქირავებას, თხოვებას ან სხვა საგანო ვალდებულებათა გაცემას, თამაშუქის, სამეურვეო ან სამზრუნველო პირის კუთვნილ უფლებებზე უარის თქმას, სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორად შესვლას, სესხის აღებას, ქონების გაყოფას, ან რომლებსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ქონების შემცირება. დასახელებული კოდექსის 1296-ე მუხლის მიხედვით კი, სამეურვეო (სამზრუნველო) პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადება არ შეიძლება).

განსხვავება ინსტიტუციურ მოწესრიგებაში აიხსნება იმით, რომ შვილის მიმართ მშობლის უფლება-მოვალეობები განსაკუთრებულ სპეციფიკას სძენს მის წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც. თუმცა, განსხვავება ბავშვის ინტერესების დაცულობის ხარისხში არ უნდა იყოს იმ მოცულობის, რომლის გამართლებაც შეუძლებელი იქნებოდა თვით მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის განსაკუთრებული ხასიათით.

მშობლებისათვის შეუზღუდავი ძალაუფლების მინიჭება მესამე პირებთან ბავშვის უფლება-მოვალეობების განხორციელებისას გამოირიცხება იმ გარემოებით, რომ მშობელი ამ ამპლუაშიც კვლავ ინარჩუნებს თავის უფლება-მოვალეობებს შვილის მიმართ და იბოჭება ვალდებულებით, დაიცვას თავისი არასრულწლოვანი შვილის უფლებები და ინტერესები, რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მე-4 ნაწილი). ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთისგან სამართლებრივი შინაარსით განსხვავდება მშობლის უფლება შვილის მიმართ და მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირების მიმართ, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას მშობელი იმავდროულად ატარებს საკუთრივ მშობლის უფლება-მოვალეობებს შვილის მიმართ. შედეგად, შვილის ქონებასთან დაკავშირებული გარიგების დადებისას იგი ვალდებულია, დაიცვას არასრულწლოვანი შვილის ინტერესები.

თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ არსებობს კანონიერი წარმომადგენლის შემზღუდავი სხვა სამართლებრივი ბერკეტები და მშობლის მოქმედების თავისუფლება იზღუდება აბსტრაქტული ფარგლებით - არასრულწლოვანის ინტერესით.

სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მეოთხე ნაწილი ავალდებულებს მშობლებს, დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები, რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას. აღნიშნული მუხლით განსაზღვრულია მშობლის მოვალეობა შვილის მიმართ, ბავშვის ქონების მართვისა და



გამოყენების დროს იმოქმედოს მხოლოდ მისივე ინტერესების შესაბამისად. დასახელებული კანონით დაკისრებული ვალდებულება მშობელს უზღუდავს შვილების სახელით ნებისმიერი საფუძვლით გარიგების დადების შესაძლებლობას. გარიგების დადების ერთადერთ ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს შვილის ინტერესების უკეთ უზრუნველყოფა.

ერთი შეხედვით, კანონმდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია მშობელსა და შვილს შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობებით, რაც მშობლის ბუნებითი ფუნქციიდან გამომდინარეობს და ნორმატიულად არის აღიარებული (სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამგვარი დამოკიდებულება ამკვიდრებს პრეზუმფციას, რომ მშობლები ყოველთვის მოქმედებენ მათი შვილების ინტერესების შესაბამისად, თუმცა სტატუსი - „მშობელი“ არ ქმნის გარანტიას, რომ გარიგების დადება ყოველთვის ბავშვის ინტერესის შესაბამისი იქნება. მშობლის უფლება-მოვალეობების სისტემა ქონებრივი და არაქონებრივი შინაარსით განიხილება, თუმცა ორივე შემთხვევაში მათი რეალიზაცია უნდა ხორციელდებოდეს "the best interests of child" („ბავშვის საუკეთესო ინტერესი“) პრინციპის განუხრელი დაცვით. აღნიშნული პრინციპი არ არის მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის. მიუხედავად ამისა, მშობლის მიერ უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციის ყველა ასპექტის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან თითოეულ ოჯახში არსებობს ბავშვის აღზრდის სხვადასხვა ტრადიციული შეხედულებები. საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება მშობლის წარმომადგენლობითი მოქმედება არასრულწლოვანის ინტერესებს, უნდა ფასდებოდეს ამ ურთიერთობის მიღმა, დამოუკიდებლად, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი სუბიექტივიზმი.

ფორმალური მიდგომა, რომ მშობელი ყოველთვის მოქმედებს ბავშვის ინტერესებში, საფრთხეს შეუქმნის ზემოთ დასახელებული პრინციპის რეალიზაციას და არასრულწლოვანის უფლებების სრულყოფილ დაცვას. თუკი სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ სამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებას, როგორიცაა მშობლის უფლების ჩამორთმევა (1206-ე მუხლი); მშობლის უფლების შეზღუდვა (1205-ე მუხლი), რასაც საფუძვლად უდევს მშობლების მხრიდან მათი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება, ნათელია, რომ კანონმდებელი იმთავითვე დასაშვებად მიიჩნევს მშობლების მოქმედებას ბავშვის ინტერესების საზიანოდ. მაშინ, მშობლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება კანონიერი წარმომადგენლის ფუნქციებთან ასევე დასაშვებია კერძო-სამართლებრივ სივრცეშიც, სადაც საერთოდ არ არსებობს პირდაპირი შემზღუდავი მექანიზმები. არასრულწლოვანის (მცირეწლოვნის) ინტერესის განსაზღვრის დროს მშობლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რიგ შემთხვევებში, ერთპიროვნულია და მის სუბიექტურ დამოკიდებულებას უკავშირდება. მაგ. სამოქალაქო კოდექსი პირდაპირი მნიშვნელობით არ ზღუდავს კანონიერ წარმომადგენელს, გააჩუქოს ან სხვაგვარად განკარგოს, არასრულწლოვანი პირის ქონება.

როგორც აღინიშნა, ბავშვის ქონებრივი უფლებების განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით საკუთრების უფლებას და მასზე, როგორც კონსტიტუციით ნებისმიერი პირისათვის გარანტირებულ და დაცვად უფლებაზე მსჯელობას. მშობლის უფლების განხორციელების – არასრულწლოვნის ქონებაზე ამ უკანასკნელის სახელით დადოს სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება, უმთავრესი წინაპირობა დასახელებულ ქონებაზე არასრულწლოვნის საკუთრების უფლების არსებობის ფაქტია. კანონმდებელი ქონებრივ ურთიერთობებში იცავს რა არასრულწლოვნის საკუთრების უფლებას, მისი მიზანი, შეზღუდოს მშობელი შვილის ინტერესით, ერთი მხრივ, განპირობებულია კერძო (სამოქალაქო), ხოლო, მეორე მხრივ, საჯარო სამართლის პრიორიტეტებიდან გამომდინარე.

საჯარო სამართლის პრიორიტეტია ნებისმიერი პირისათვის მინიჭებული საკუთრების ფუნდამენტური უფლების დაცვის უზრუნველყოფა, რა დროსაც სახელმწიფოს აკისრია არა მხოლოდ ნეგატიური (სახელმწიფოს ვალდებულება, თავი შეიკავოს კონვენციითა და მისი



ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისაგან), არამედ პოზიტიური ვალდებულებაც (უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფა, მათ შორის მესამე მხარის მიერ). აღნიშნულის საფუძველზე კი, სამოქალაქო კანონმდებლობა ქმნის შესაბამის საკანონმდებლო გარანტიას, რაც გამოიხატება არასრულწლოვნის სახელით ნების გამომვლენის მესაკუთრის ინტერესებით შებოჭვაში (სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მეოთხე ნაწილი) და პრიორიტეტს ანიჭებს, დაიცვას არასრულწლოვანი მესაკუთრე ნებისმიერი დამრღვევისაგან.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილების თანახმად, „...დაცული, გარანტირებული კერძო ინტერესი უზრუნველყოფს საჯარო ინტერესების დაკმაყოფილებასაც. ბუნებრივია, რაც უფრო მყარია საკუთრების უფლების სამართლებრივი გარანტიები, მით თავისუფალი და თამამია კერძოსამართლებრივი ურთიერთობები, შესაბამისად, უფრო რეალურად მიღწევადია დასახელებული საჯარო ინტერესებიც. იმავდროულად, კონკრეტული კერძო ინტერესების დაკმაყოფილებაც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული დაცულ საჯარო ინტერესებზე. თანამედროვე სახელმწიფოს სტაბილურობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის პრიორიტეტების სწორად და სამართლიანად განსაზღვრა, ხელისუფლებისა და ადამიანის ურთიერთობის გონივრულად დაბალანსებული სისტემის შექმნა. ეს, პირველ რიგში, გამოხატულებას ჰპოვებს ყოველი კონკრეტული უფლების შინაარსისა და ფარგლების ადეკვატურ საკანონმდებლო განსაზღვრაში...“ (იხ.საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება №1/2/384 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალაღიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ).

სასამართლომ აღნიშნა, რომ არასრულწლოვნის ქონებრივი ურთიერთობის, მათ შორის საკუთრების უფლების დაცვის საკანონმდებლო მექანიზმის არარსებობა გამოიწვევს საკუთრების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის ელემენტებისაგან შემდგარი სამოქალაქო კონცეფციის დაცარიელებას და არასრულწლოვნის უფლებას, წარმოადგენდეს მესაკუთრეს და სრულწლოვანების მიღწევისათვის განახორციელოს მესაკუთრის უფლებები, ილუზორულს გახდიდა. შესაბამისად, არასრულწლოვნის ქონების განკარგვის შესახებ ნებისმიერი გარიგების დადების დროს აპრიორს მისი დასაბუთებული, უფრო აღმატებული ინტერესი უნდა წარმოადგენდეს და მშობლის უფლება - განკარგოს ასეთი პირის ქონება, გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ გულმოდგინე განხილვის შემდეგ. არასრულწლოვნის კეთილდღეობაზე და მომავალზე ზრუნვა უნდა იყოს უპირატესი გარიგების დადების დროს და განპირობებული უნდა იყოს ბავშვის როგორც მატერიალური, ისე - არამატერიალური აუცილებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობით (მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობა, განათლების მიღება და ა.შ).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებაში მიუთითა: „...იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის საკუთრების შეძენის გზით ქონების დაგროვებას...“ (იხ.საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება №512 საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონჰეისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ).



როგორც აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს პირდაპირ კონტროლს მშობლის მიერ არასრულწლოვანის ქონებრივი აქტივების განკარგვაზე. კანონმდებლის მიერ ამ საკითხის ღიადა დატოვებით საფრთხე არ უნდა შეექმნას არასრულწლოვნის ინტერესებს. ბუნებრივია, კანონისმიერი მოწესრიგების გარეშე „მონიტორინგი“ ვერ დაწესდება მსგავსი გარიგებების მართლზომიერებაზე, თუმცა, სადავოობისას, როდესაც საკითხის შეფასება სასამართლოს წინაშე დგას, ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა წარმოადგენდეს სახელმძღვანელო ფაქტორს დავის გადაწყვეტისას. ღია სამართლებრივი სივრცე მოითხოვს საკითხის მოწესრიგებას სამოსამართლო სამართლით, კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვის მიზნით.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით აღნიშნა, რომ საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტისას სასამართლომ უტყუარად და სარწმუნოდ უნდა დაადგინოს მიღებული გადაწყვეტილების ბავშვის ინტერესებისათვის ყველაზე უკეთ შესაბამისობა. სასამართლოს ამგვარ დამოკიდებულებას განაპირობებს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-3 მუხლი, რომლის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმხორციელებელი, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის უფლებების უკეთ უზრუნველყოფას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სუსგ, საქმე №ას-669-630-2011, 2011 წლის 11 ოქტომბერი). ამდენად, სასამართლომ დავის განხილვისას არ უნდა დაუშვას, რომ არსებული ღია სამართლებრივი სივრცე, სადაც კანონიერი წარმომადგენელი კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე მოქმედებს, საფრთხეს უქმნიდეს არასრულწლოვნის ქონებრივ კეთილდღეობას.

სამოქალაქო კოდექსის სისტემური ანალიზი ცხადყოფს, რომ არასრულწლოვანი, რომლის ინტერესებს წარმოადგენენ მისი მშობლები და არასრულწლოვანები, სადაც მათი ინტერესები უზრუნველყოფილია მეურვით/მზრუნველით, იმყოფებიან არათანაბარ სამართლებრივ მდგომარეობაში. როგორც მშობლის, ისე მეურვის/მზრუნველის უფლება-მოვალეობათა სისტემა შესაძლებელია, განხილული იქნეს ორი მიმართულებით. კერძოდ, პირველ ნაწილში მოიცავს ნორმებს, რომლებიც აწესრიგებენ მშობელსა და შვილს შორის არსებულ ურთიერთობებს. ანალოგიური შინაარსის ნორმებს მოიცავს სამოქალაქო კოდექსის მეურვეობისა და მზრუნველობის საქმიანობის მომწესრიგებელი თავი. განსხვავებით მეურვის და მზრუნველის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა, კანონმდებელი მოწესრიგების მიღმა ტოვებს მშობლის, როგორც კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობათა სისტემას და შემოიფარგლება მხოლოდ ასეთი უფლებამოსილების მინიჭებით (1198-ე მუხლის მე-6 ნაწილი). ამგვარი დამოკიდებულება, ეწინააღმდეგება არასრულწლოვანი პირის უფლებების სრულყოფილ დაცვას, რადგან იქმნება ვითარება, როცა სამეურვეო პირის ინტერესები უფრო მეტად არის უზრუნველყოფილი და დაცული სამოქალაქო კოდექსით, ვიდრე არასრულწლოვანი პირების მშობლის წარმომადგენლობის ფარგლებში.

სადავო საკითხის ნორმატიული მოწესრიგება შესაძლებელია სამოქალაქო კოდექსის 1294 -ე და 1296 -ე მუხლების განვრცობითი განმარტებით.

სამოქალაქო კოდექსის 1294-ე მუხლის თანახმად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე მეურვეს უფლება არა აქვს სამეურვეო პირის სახელით დადოს გარიგება, ხოლო მზრუნველს სამზრუნველო პირის სახელით დათანხმდეს გარიგების დადებაზე, რომელიც შეეხება ქონების გასხვისებას, დაგირავებას, ათ წელზე მეტი ვადით გაქირავებას, თხოვებას ან სხვა სავალ ვალდებულებათა გაცემას, თამასუქის, სამეურვეო ან სამზრუნველო



პირის კუთვნილ უფლებებზე უარის თქმას, სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორად შესვლას, სესხის აღებას, ქონების გაყოფას, ან რომლებსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ქონების შემცირება. დასახელებული კოდექსის 1296-ე მუხლის მიხედვით კი, სამეურვეო (სამზრუნველო) პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადება არ შეიძლება.

სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების განხორციელების სფეროში მეურვეებსა და მზრუნველებს, როგორც სამეურვეო და სამზრუნველო პირების წარმომადგენლებს, ფართო უფლებამოსილებანი გააჩნიათ, რომელთა შეზღუდვაც ასეთი პირების ინტერესების შესაბამისად უნდა განხორციელდეს. სამოქალაქო კოდექსის 1294-ე მუხლით ნაგულისხმევი შეზღუდვის ფარგლებში მეურვე/მზრუნველი ვალდებულია ისეთი გარიგებების დადების დროს, რომელიც სცილდება საყოფაცხოვრებო გარიგებათა სახეებს, შეატყობინოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. მოცემულ სფეროში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მაკონტროლებელი ორგანოა და მისი ვალდებულებაა, უზრუნველყოს წარმომადგენლობითი ფუნქციები მითითებული პირების ინტერესების შესაბამისად.

სამოქალაქო კოდექსის 1275-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებიც მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩნენ მშობლების გარდაცვალების, გარდაცვლილად აღიარების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, შეჩერების ან შეზღუდვის, მშობლების ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან ბავშვის მიტოვებულად აღიარების გამო, უწესდებათ მეურვეობა და მზრუნველობა მათი აღზრდის მიზნით, პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

აღნიშნული მუხლის პირდაპირი განმარტება გულისხმობს კანონის 1294-ე და 1296-ე მუხლებით დადგენილი დამცავი მექანიზმების გამოყენებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი აქვს სამოქალაქო კოდექსის 1275-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს, ე.ი. მაშინ როდესაც, სახეზეა დანიშნული მეურვე (კანონიერი წარმომადგენელი, მაგრამ არა მშობელი).

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსხვავება მეურვის/მზრუნველის და მშობლის სამართლებრივ ურთიერთობებს შორის არასრულწლოვანთან მიმართებით, არ არის იმ მნიშვნელობის, რაც გაამართლებს სამართლებრივ უთანაბრობას წარმომადგენლობით სფეროში. განსახილველ შემთხვევაში, ცალსახად დგინდება, რომ სამოქალაქო კოდექსის 1294-ე და 1296-ე მუხლების განვრცობითი განმარტებით ლეგიტიმური მიზანი (შეიქმნას სამართლებრივ სიკეთეთა დაცვის გარანტიები, სამართლებრივი წესრიგი და უსაფრთხოება), უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი განმარტება სიტყვა-სიტყვითი გაგებით. არასრულწლოვნის ინტერესის დაცვისთვის სამართლებრივი უსაფრთხოების შექმნა მნიშვნელოვანი პირობაა. ასეთი პირის ქონებრივი (და არა მხოლოდ) უფლების დაცვის გარანტიის საკანონმდებლო დონეზე რეგულირება ან მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის გამოყენება ხაზს უსვამს არასრულწლოვნის ინტერესის უპირატესობასა და მისი უფლების (განსახილველ შემთხვევაში, საკუთრების უფლება) უპირატესად დაცვის ვალდებულებას. შესაბამისად, კანონმდებლის მიზანი ვერ იქნება აუცილებლობის დროს დაცვის გარეშე დატოვოს ნებისმიერი პირი. აღნიშნული დასკვნის მართებულობას ხაზს უსვამს ზემოაღნიშნული დასაბუთებაც, რომლის მიხედვითაც, გაუმართლებელია, არასრულწლოვნის კუთვნილი ქონების განკარგვისას მშობლის კანონიერ წარმომადგენლად ყოფნა გულისხმობდეს, რომ გარიგების დადება ყოველთვის არასრულწლოვნის ინტერესის შესაბამისად განხორციელდება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1294 -ე და 1296 -ე მუხლები უნდა განიმარტოს განვრცობითად და მათ მიერ დადგენილი დამცავი მექანიზმები უნდა გავრცელდეს ასევე მშობლის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას. მშობლის მიერ არასრულწლოვანის სახელით გარიგებების დადება, რომელთა სახეებიც ჩამოთვლილია



სამოქალაქო კოდექსის 1294-ე მუხლში, არ უნდა განხორციელდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 1296-ე მუხლით ჩუქების ხელშეკრულების დადება მისი უსასყიდლო ბუნებიდან გამომდინარე მშობლის მიერაც კი, იმთავითვე გამოირიცხება. გარიგების დადების დროს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის არსებობის აუცილებლობა, ერთი მხრივ, იცავს არასრულწლოვანის უფლებას დარღვევისაგან, ხოლო მეორე პირისათვის ახდენს სამოქალაქო რისკის პრევენციას. შესაბამისად, აღნიშნულ მუხლში მითითებული იმპერატიული დანაწესის თანახმად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ვალდებულებათა, კანონიერი წარმომადგენლის - მშობლის მიმართვის საფუძველზე, შესაბამისი გარემოებებისა და წინაპირობებისას, რომელთა არსებობაც დასახელებული ორგანოს მიერ უნდა დადგინდეს ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის შედეგად, გასცეს გარიგების დადებისათვის საჭირო წინასწარი თანხმობა. ამგვარ ვითარებასა და წესით გაცემული წინასწარი თანხმობისადმი მოქმედებს ვარაუდი, რომ იგი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად არის გაცემული. სასამართლოს ამგვარ დასკვნას განაპირობებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, როგორც სახელმწიფო დაწესებულების ფუნქცია, ადგილი და სტატუსი.

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით სადავო გარიგებების ანალიზისას ირკვევა, რომ სახეზე არ არის არასრულწლოვანის დასაბუთებული ინტერესი და არც ასეთი ინტერესის შესაბამისად, მშობლების მიმართვის საფუძველზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ გარიგების დადებისათვის აუცილებელი წინასწარი თანხმობა, რაც ცხადყოფს, რომ დარღვეულია სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მეოთხე ნაწილი და 1294-ე მუხლი და სადავო გარიგებები მართლსაწინააღმდეგო ხასიათს ატარებს.

სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

დასახელებულ მუხლში მითითებული - ბათილი გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესს, მოიაზრებს შემთხვევას, როდესაც, სახეზეა, კანონის იმპერატიულ დანაწესთან გამოვლენილი ნების შეუსაბამობა. აღნიშნული საფუძველით, შესაძლებელია, როგორც ვალდებულებითი, ასევე, სანივთო გარიგების ბათილად ცნობა. რაც შეეხება, დაირღვა თუ არა კანონის იმპერატიული დანაწესი, როგორც ზემოთ აღინიშნა, პასუხი დადებითია, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 1294-ე მუხლი ერთმნიშვნელოვნად უკრძალავს მეურვეს/მზრუნველს/მშობელს სამეურვეო/სამზრუნველო პირისა და შვილის სახელით მასში მითითებული გარიგებების დადებას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე. დასახელებული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და მისი სხვაგვარი განმარტების შესაძლებლობას არ იძლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2009 წლის 4 ნოემბერსა და 2010 წლის 22 მარტს, ერთი მხრივ, სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯ. კ.-ს“ და, მეორე მხრივ, მცირეწლოვან გ. კ.-ს კანონიერ წარმომადგენლებს (ი. და ნ. კ.) შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულებები ბათილია.

სარჩელის იურიდიული ინტერესის არარსებობის თაობაზე მოპასუხის არგუმენტთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა პირის კონსტიტუციურ უფლებათა, თუმცა მისი შინაარსი არ არის აბსოლუტური ბუნების და შეზღუდულია საპროცესო სამართლებრივი წესრიგით. იურიდიული ინტერესი საპროცესო წესრიგის შემადგენელი ნაწილია, რომელიც აღიარებითი სარჩელის სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს. ხელშეკრულების ბათილად ცნობა, აღიარებითი სარჩელის კატეგორიას მიეკუთვნება, შესაბამისად, ხელშეკრულების ბათილად ცნობის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს იურიდიული ინტერესის არსებობა.



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

ასეთი ინტერესის არსებობა ყოველთვის გულისხმობს, რომ მხარე გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს ინტერესის ობიექტს, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ იურიდიული ინტერესი არ განისაზღვრება მხოლოდ პირის სუბიექტური დამოკიდებულებით, ანუ მხოლოდ მისი სურვილით, არამედ, აუცილებელია მისი ობიექტური მხარეც.

ობიექტური თვალსაზრისით, ინტერესი მოიცავს შედეგებს, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებობს. აღნიშნული შედეგები აუცილებლად განსაზღვრული უნდა იყოს სამართლის ნორმებით და ამგვარი სამართლებრივი წესით დაცვა განაპირობებს ინტერესების იურიდიულ ბუნებას.

ერთი შეხედვით, 2009 წლის 4 ნოემბრის და 2010 წლის 22 მარტის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ვერ უზრუნველყოფს იმ იურიდიულ შედეგებს, რისი მიღწევაც სურს მოსარჩელეს ამგვარი აღიარებით, რადგან არსებობს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 აპრილის კანონიერ ძალაში შესული განჩინება, რითიც დამტკიცდა მორიგება, ერთი მხრივ, ს/ს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯ. კ.-ს“ და, მეორეს მხრივ, ი. კ.-ს, გ. კ.-ს და ნ. კ.-ს შორის. მხარეთა შეთანხმებით, ი. კ.-ს მიერ აღიარებული ვალდებულება ასევე უზრუნველყოფილია გ. კ.-ს სადავო უძრავი ქონებით. სასამართლოს აღნიშნული განჩინება წარმოადგენს აღსრულების დამოუკიდებელ სამართლებრივ საფუძველს. გარდა ამისა, იურიდიული ძალის მქონეა სააღსრულებო წარმოების ფარგლებში ჩატარებული სააუქციონო პროცედურები და საკუთრების უფლება, რომელიც რეგისტრირებულია თ. დ.-ს სასარგებლოდ.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს შეფასების საგანს არ წარმოადგენს სადავო ხელშეკრულებების შემდეგ დამდგარი სამართლებრივი შედეგები, ამგვარი ფორმალური მიდგომა, იურიდიული ინტერესის კონტექსტში, ვერ უზრუნველყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლების კონვენციით გარანტირებული უფლებების სრულფასოვან რეალიზაციას. არასრულწლოვანის ქონებრივი კეთილდღეობა, რომელიც მისი პიროვნული განვითარების აუცილებელი წინაპირობაა და ამ ინტერესის სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შემუშავება, წარმოადგენს მაღალი დაცვის სფეროში შემავალ უფლებას და ვერ იქნება შეზღუდული საპროცესო - სამართლებრივი წესრიგით. მშობლის მიმართ წარმომადგენლობით ფუნქციებზე მონიტორინგის დაწესება სცილდება მხოლოდ გ. კ.-ს სუბიექტური სამართლებრივი ინტერესების ფარგლებს და მიმართულია არასრულწლოვანის უფლების, როგორც ობიექტურად დაცული სამართლებრივი სიკეთის უზრუნველსაყოფად. განსახილველი დავის ფარგლებში, სასამართლო განსაზღვრავს მშობლის, როგორც კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის აქტივების განკარგვის წესს და ამ წესების დარღვევით დადებული გარიგების სამართლებრივ შედეგებს, რაც მიმართულია სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამდენად, მოპასუხის მითითება სარჩელის იურიდიული ინტერესის არარსებობაზე უსაფუძვლოა და ვერ იქნება გაზიარებული სასამართლოს მიერ.

2.11. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია გ. კ.-ს სასარჩელო მოთხოვნა ნ. მ.-ს მიმართ. საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ 2009 წლის 4 ნოემბრის და 2010 წლის 22 მარტის იპოთეკის ხელშეკრულებები დამოწმებულია ნოტარიუს ნ. მ.-ს მიერ.



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე საკუთარი შეხედულებით განსაზღვრავს დავის საგანს და მისი მოთხოვნის ადრესატს. თუმცა, აღნიშნული დათქმა არ შეიცავს აბსოლუტურ ხასიათს, რადგან შეზღუდულია საპროცესო-სამართლებრივი წინაპირობებით. მოპასუხის პროცესუალურ სტატუსს განსაზღვრავს, არა მოსარჩელის სურვილი, არამედ მოთხოვნის ადრესატის დამოკიდებულება მოსარჩელის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების მიმართ და გავლენას ახდენს სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხის ინტერესებზე. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს 2009 წლის 4 ნოემბრის და 2010 წლის 22 მარტის იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, თუმცა ნოტარიუსი არ იბოჭება ამ ხელშეკრულებებით დადგენილი ვალდებულებებით. (იხ. უზენაესი სასამართლოს რეკომენდაცია) ამდენად, დავის საგნის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მიღებული გადაწყვეტილების შედეგი გავლენას ვერ მოახდენს მის უფლება-მოვალეობებზე.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები:

3.1. პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ სესხით მიღებული თანხა, რომელიც სადავო იპოთეკის ხელშეკრულებებით იქნა უზრუნველყოფილი, არასრულწლოვანის ინტერესებს არ მოხმარებია. სასამართლომ არ შეაფასა არასრულწლოვანი მამის - ი. კ.-ს მიერ 4 ივნისის სასამართლო სხდომაზე მიცემული განმარტება, სადაც ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ თანხა მოხმარდა ოჯახის კეთილდღეობას და, რა თქმა უნდა, თავისი არასრულწლოვანი შვილის ინტერესებს.

3.2. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ფაქტობრივად გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება, რომელმაც დაამტკიცა რა მხარეთა შორის მორიგება, მათ შორის, კანონიერად ცნო მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იპოთეკით დატვირთული არასრულწლოვანის კუთვნილი უძრავი ქონების რეალიზაცია.

3.3. აპელანტის მოსაზრებით, არ არსებობს დავის იურიდიული ინტერესი, ვინაიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 აპრილის კანონიერ ძალაში შესული განჩინების არსებობის პირობებში, რომლის საფუძველზეც სადავო ქონება აუქციონის წესით არის რეალიზებული, ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, ვერ უზრუნველყოფს იმ იურიდიულ შედეგს (არასრულწლოვანის კუთვნილი უძრავი ქონების დაბრუნებას), რისი მიღწევაც მოსარჩელეს ამგვარი აღიარებით სურს. მით უფრო, რომ სააღსრულებო ბიუროს 2012 წლის 14 ივნისის განკარგულება მოსარჩელეთა მიერ არ არის გასაჩივრებული.

ამასთან, სასამართლომ სადავო იპოთეკის ხელშეკრულებები ბათილად ისე ცნო, რომ საქმეში უძრავი ქონების დღევანდელი მესაკუთრე მესამე პირად არ ჩააბა.

3.4. სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მე-6 ნაწილი, როდესაც მიიჩნია, რომ მშობლების მიერ არასრულწლოვანის სახელით გარიგების დადება მხოლოდ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობის შემთხვევაში არის შესაძლებელი.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ.

ფაქტობრივი დასაბუთება

სააპელაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

4.1. 2009 წლის 4 ნოემბერს ს/ს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯ. კ.-ს“ და ი. კ.-ს შორის სესხის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საფუძველზე ი. კ.-მ, სესხის სახით, 12 თვის ვადით, 4 000 აშშ დოლარი მიიღო. აღნიშნული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, გ. კ.-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. ხაშური, მარჯანიშვილის ქ.#XX (ს/კ XX.XX.XX.XXX) იპოთეკით დაიტვირთა.

4.2. 2010 წლის 22 მარტს ს/ს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯ. კ.-ს“ და ი. კ.-ს შორის კვლავ გაფორმდა სესხის ხელშეკრულება. ამჯერად, ი. კ.-მ სესხის სახით, 12 თვის ვადით, 3 000 აშშ დოლარი მიიღო. ამ ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე, იპოთეკით დაიტვირთა გ. კ.-ს საკუთრებაში არსებული ქ. ხაშურში, მარჯანიშვილის ქ. №XX-ში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ XX.XX.XX.XXX).

4.3. იპოთეკის საგანი - ქ. ხაშური, მარჯანიშვილის ქ. #XX-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი მცირეწლოვან გ. კ.-ს (დაბადებულია 2005 წლის XX ივლისს) 2008 წლის 4 იანვრის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა. გ. კ. სადავო იპოთეკის ხელშეკრულებების გაფორმებისას ხუთი წლის იყო.

4.4. 2009 წლის 4 ნოემბრისა და 2010 წლის 22 მარტის იპოთეკის ხელშეკრულებები ხელმოწერილია გ. კ.-ს კანონიერი წარმომადგენლების - ნ. კ.-ს და ი. კ.-ს მიერ, რომლებიც გ. კ.-ს მშობლები არიან. აღნიშნული ხელშეკრულებები დამოწმებულია ნოტარიუს ნ. მ.-ს მიერ.

4.5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 აპრილის განჩინებით მხარეთა შორის მორიგება დამტკიცდა, რომლის საფუძველზე ი. კ.-მ ს/ს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯ. კ.-ს“ მიმართ 2011 წლის 21 აპრილის მდგომარეობით 5 041,33 აშშ დოლარის ოდენობით დავალიანების არსებობა აღიარა და იკისრა ვალდებულება იგი შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად დაეფარა. ამავე განჩინებით, აღნიშნული ვალდებულება მცირეწლოვანი გ. კ.-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით (ს/კ XX.XX.XX.XXX) იქნა



უზრუნველყოფილი.

4.6. სააპელაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ სადავო გარიგებების დადება ბავშვის - გ. კ.-ს საუკეთესო ინტერესების დაცვის აუცილებლობით არ იყო განპირობებული და მითითებული გარიგებების დადების გზით არასრულწლოვან გ. კ.-ს ინტერესებს მნიშვნელოვანი ზიანი მიაღწა.

დადგენილია და სადავო არ არის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 3 აგვისტოს სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, გ. კ.-ს საკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება, რომელიც აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 54000 ლარად იქნა შეფასებული (ს.ფ. XX), აუქციონზე 10 800 ლარად გაიყიდა და შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს 2012 წლის 14 ივნისის განკარგულების საფუძველზე, ქ. ხაშურში, მარჯანიშვილის ქ.№XX-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ XX.XX.XX.XXX) მესაკუთრე თ. დ. გახდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებულ ნორმათა შესაბამისად, ფაქტობრივ გარემოებათა მტკიცების ვალდებულება აკისრიათ მხარეებს, რომლებიც თავის სამართლებრივ მოთხოვნას აღნიშნულ გარემოებებს აფუძნებენ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს. მხარეს, რომელიც თავის მოთხოვნას თუ შესაგებელს აფუძნებს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას, ეკისრება მითითებული გარემოების მტკიცების ტვირთი. ამასთან, არამართო მოსარჩელეა ვალდებული ამტკიცოს სარჩელში მოყვანილი გარემოებები, არამედ მოპასუხეცაა ვალდებული დაამტკიცოს მის მიერ შესაგებელში მოყვანილი ფაქტები.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მშობლების მიერ მათი უფლების განხორციელების შედეგად (ჯამში 7000 აშშ დოლარის ოდენობის იპოთეკური სესხის მიღება) არასრულწლოვანმა გ. კ.-მ 54 000 ლარის ღირებულების საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლება დაკარგა. აპელანტის მიერ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ მშობლების მიერ სადავო გარიგებების დადების საფუძველს და მიზანს შვილის ინტერესების უკეთ უზრუნველყოფა წარმოადგენდა, ან იპოთეკური სესხი გ. კ.-ს მატერიალური ან არამატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობით (მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობა, განათლების მიღება და ა.შ) იყო განპირობებული.

სამართლებრივი დასაბუთება



4.7. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ პრემიულის მიხედვით, ყველა შემთხვევაში, არსებობს ბავშვის უფლებების განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობა¹.

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები² პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვენციითაა გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რამ ვითარების განურჩევლად.

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი წევრი ქვეყნებისათვის სამი განსხვავებული სახის ვალდებულებას ადგენს:

(ა) თუ გადაწყვეტილების მიღებისას ერთმანეთს სხვადასხვა ინტერესები უპირისპირდება, ბავშვის ფუნდამენტური უფლებათა, რომ გარანტირებულია და უპირატესად მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და გათვალისწინებულ იქნეს;

(ბ) თუ სამართლებრივ ნორმას ერთზე მეტი განმარტება შეიძლება მიეცეს, არჩეულ უნდა იქნეს ის განმარტება, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ყველაზე ეფექტურად ემსახურება. (განმარტების ფარგლებს გთავაზობს ის უფლებები, რომლებიც კონვენციაში და დამატებითი ოქმებშია მოცემული);

(გ) ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მოითხოვს საპროცესო გარანტიებს. გადაწყვეტილების მიღებისას უნდა შეფასდეს ბავშვის ინტერესებზე ამ გადაწყვეტილების შესაძლო ზეგავლენის შედეგები (დადებითი თუ უარყოფითი) და გადაწყვეტილებაში პირდაპირ უნდა აისახოს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები უპირატესად შეფასდა და მხედველობაში იქნა მიღებული³.

¹ იგივე ვალდებულებას აწესებს ბავშვის უფლებათა კენევის 1924 წლის დეკლარაცია; 1959 წლის 20 ნოემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ბავშვის უფლებათა დეკლარაცია; გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (კერძოდ, მისი 23-ე და 24-ე მუხლებით); ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი (კერძოდ, მე-10 მუხლით);

² საქართველოსათვის „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ ძალაშია 1994 წლის 21 აპრილიდან, შესაბამისად, ყველა ის ვალდებულება, რომელიც ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა მითითებულ კონვენციასთან მიერთებით აიღეს, საქართველოზეც ვრცელდება

³ General comment No. 14 (CRC/C/GC/14, 29 May 2013)



„ბავშვის საუკეთესო ინტერესების“ კონცეფცია მიზნად ისახავს კონვენციის მიერ აღიარებული ყველა უფლებით სრულ და ეფექტურ სარგებლობას და ბავშვის კომპლექსურ განვითარებას. ზრდასრულების განსჯა „ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა“, კონვენციით გათვალისწინებული ბავშვის ყველა უფლების პატივისცემას ვერ უკუაგდება. არ არსებობს კონვენციაში გათვალისწინებული უფლებების იერარქია. ყველა უფლება ბავშვის საუკეთესო ინტერესებში შედის და არცერთი უფლების უარყოფა არ შეიძლება „ბავშვის საუკეთესო ინტერესების“ ნეგატიური განმარტებით⁴.

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-4 მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები დებულობენ ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვაგვარ ზომას წინამდებარე კონვენციით აღიარებულ უფლებათა განსახორციელებლად.

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისაგან.

პალატა განმარტავს, რომ ეკონომიკურ ექსპლუატაციაში იგულისხმება ბავშვის შრომითი რესურსის ბოროტად გამოყენება, ასევე მისი ქონებით არამიზნობრივად, ბავშვის ინტერესების საზიანოდ სარგებლობა, ბავშვის ქონების ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ განკარგვა. ბავშვის ქონებით არამიზნობრივი სარგებლობა სახეზეა, როდესაც სარგებლობას ბავშვის ქონების შემცირება ან მისი სრული მოსპობა სდევს თან და, ამასთან, ამგვარი სარგებლობის მიზანს ბავშვის ინტერესი არ ამართლებს. ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, რაღა თქმა უნდა, არაპირდაპირ, თუმცა, მაინც, ბავშვის ინტერესებშია, თუმცა, ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ბავშვის ქონებაზე რისკის გაწევა, მით უფრო, თუ რისკი გაუთვლელი და დაუზღვეველია, ბავშვის ინტერესების საზიანო შედეგის მომტანია. შესაბამისად, ბავშვის ქონება უნდა განიკარგოს მხოლოდ ბავშვის ინტერესებში. ქონების განკარგვა, მათ შორის, ქონების გასხვისება, ბავშვის პირდაპირ ინტერესს შეესაბამება, თუ ბავშვის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება ბავშვის ისეთ მაღალ ინტერესს შეესატყვისება, როგორიცაა, მისი ჯანმრთელობა, განათლება, უსაფრთხოება და ა. შ. ამდენად, ბავშვის ქონების განკარგვა ბავშვის ინტერესებს შეესაბამება, თუ ქონების განკარგვის შედეგად მიღებული სარგებელი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ხმარდება, ბავშვის სათანადო განათლებას, მის უსაფრთხო გარემოში ცხოვრებას უზრუნველყოფს, ბავშვის ნორმალურ განვითარებას ემსახურება და ა. შ. მითითებული მიზნის განხორციელების გარანტი კი, ზემოაღნიშნული კონვენციის შესაბამისად, სახელმწიფოა. სწორედ სახელმწიფოა ვალდებული შექმნას იმგვარი საკანონმდებლო ბერკეტი, რომლის შესაბამისადაც, ბავშვის ქონების განკარგვა სპეციალურ, საამისოდ კომპეტენტური ორგანოების ნებართვას საჭიროებს, ხოლო ბავშვის ინტერესის გონივრული შეფასება მათ ზედამხედველობას ექვემდებარება. ამ მიმართებით, საინტერესოა, ის საკანონმდებლო რეგულაცია, რომელსაც ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, მშობლებს ევალებათ, დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები, რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ

⁴ Case of S.L. and J.L. vs. Croatia, 07.05.2015 Judgment



რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში.

ამდენად, პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მშობლებს ბავშვების ქონებასთან მიმართებით შეზღუდულ უფლებას უწესებს და მხოლოდ აღნიშნული ქონების მართვისა და გამოყენების უფლებას ანიჭებს. ქონების მართვა და გამოყენება, არც სიტყვასიტყვითი და არც ლოგიკური და შინაარსობრივი ახსნა-განმარტების შედეგად, განკარგვის უფლებამოსილებას არ გულისხმობს. რაც შეეხება ამავე მუხლის მე-6 ნაწილის დანაწესს მასზედ, რომ მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად გამოდიან, ნიშნავს იმას, რომ მშობელი ბავშვის სახელით მხოლოდ და მხოლოდ ისეთ გარიგებებს დებს, რომლებიც ბავშვის ნებას შეესაბამება და ამასთან, აღნიშნული გარიგება ბავშვის ინტერესებშია. მოცემულ შემთხვევაში, ბავშვის კუთვნილი ქონების იპოთეკით დატვირთვა, მშობლების მიერ აღებული სესხის უზრუნველსაყოფად, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს 5 წლის ბავშვის ნების შესაბამისად. რაც შეეხება ბავშვის ინტერესს, საგულისხმოა, რომ მოცემულ შემთხვევაში, არც ბავშვის ნამდვილი ინტერესია სახეზე, რადგან ბიზნესის დასაწყებად სესხის აღება, თუნდაც, ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ბავშვის ნამდვილ ეკონომიკურ ინტერესს არ შეესატყვისება, ვინაიდან სესხად აღებული თანხებით ბიზნესის წარმოება, შესაბამისი ბიზნეს გეგმისა და დაუზღვეველი რისკის პირობებში, სერიოზული საფრთხის შემცველია. ბავშვის ქონების დაკარგვის საფრთხის არსებობა კი იმთავითვე ბავშვის ინტერესების საზიანოა. ამდენად, მშობლების მიერ აღებული სესხის უზრუნველსაყოფად მცირეწლოვანი ბავშვის ქონების იპოთეკით დატვირთვა ბავშვის ინტერესის საწინააღმდეგო გარიგებაა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

ამდენად, ბავშვის ქონებაზე გარიგების დადება, რა დროსაც, გამოკვეთილი არ არის ბავშვის უპირატესი ინტერესი, არღვევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მე-6 ნაწილის დანაწესს მასზედ, რომ მშობლების მიერ ბავშვის სახელით გარიგების დადება მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვას უნდა ემსახურებოდეს, შესაბამისად, სადავო გარიგება, როგორც ბავშვის ინტერესების საზიანო და ამგვარად, კანონსაწინააღმდეგო, ბათილია.

პალატა დამატებით განმარტავს, რომ მშობლის მიერ ბავშვის სახელით გარიგების დადება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, სპეციალურ ნებართვას არ საჭიროებს. ამგვარი დასკვნის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის დანაწესი მასზედ, რომ მშობელი ბავშვის სახელით განსაკუთრებული ნებართვისა და რწმუნებულების გარეშე მოქმედებს. მაშინ, როდესაც ბავშვის სახელით, მეურვისა და მზრუნველის მიერ გარიგების დადება, სამოქალაქო კოდექსის 1294-ე მუხლის შესაბამისად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვას საჭიროებს. ნიშანდობლივია, რომ ამგვარი საკანონმდებლო წესრიგი ბავშვის წინაშე მშობლის განსაკუთრებული პასუხისმგებლობით არის განპირობებული, ვინაიდან ბავშვის უფლებათა დაცვა და მის ინტერესში მოქმედება მშობლის უზენაესი ვალდებულებაა.

სამოქალაქო კოდექსის 1299-ე მუხლის თანახმად, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიაღწეს ბავშვის ინტერესებს.



ზემოაღნიშნულ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონი პირდაპირ ავალდებულებს მშობლებს თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებებისა და ინტერესების დაცვას, რაც ასევე, შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას გულისხმობს. სააპელაციო პალატა არ იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივ დასკვნებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლზე მშობლის უფლების განხორციელების პროცესში და მიაჩნია, რომ მესამე პირებთან შვილის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას, სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს პირდაპირ კონტროლს მშობლის მიერ არასრულწლოვანის ქონებრივი აქტივების განკარგვაზე, მაგრამ ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 1299-ე მუხლის დანაწესი, რომელიც ნორმა-პრინციპის სახით არის დეკლარირებული და იმპერატიული ხასიათისაა, მშობლის მოქმედების თავისუფლებას ზღუდავს არასრულწლოვანის ინტერესებით და მოითხოვს, რომ მშობლის უფლებები ისე განხორციელდეს, რომ ამით ზიანი არ მადგეს ბავშვის ინტერესებს. დასახელებული ნორმით დაკისრებული ვალდებულება მშობელს უზღუდავს შვილების სახელით ნებისმიერი საფუძვლით გარიგების დადების შესაძლებლობას. გარიგების დადების ერთადერთ საფუძველს და ლეგიტიმურ მიზანს უნდა წარმოადგენდეს შვილის ინტერესების უკეთ უზრუნველყოფა.

პალატა წინამდებარე დავის გადასაწყვეტად ხელმძღვანელობს არამხოლოდ „ბავშვის უფლებათა კონვენციითა“ და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამართლებრივი რეგულაციებით, არამედ მხედველობაში იღებს ასევე იმ სამართლებრივ წესრიგს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო „*ბავშვის უპირატესი ინტერესის*“ დასაცავად ადგენს. ამ მიმართებით, პალატა ყურადღებას მიაქცევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმ განმარტებებს, რომლებიც გადაწყვეტილებებში ბავშვის ქონებრივი უფლებების დასაცავად გაკეთდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის მიხედვით, ყველა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უფლება აქვს მშვიდობიანად ისარგებლოს მისი ქონებით. არავის არ უნდა ჩამოერთვას მისი ქონება, გარდა საჯარო ინტერესის არსებობისას, და დაცული უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული პირობები და საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები.

სახელმწიფოს მიერ საკუთრების უფლების დაცვის ვალდებულება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის რეგულირების ქვეშ ექცევა, რომლის თანახმად, ნებისმიერი პირის საკუთრების ფუნდამენტური უფლების დაცვის უზრუნველყოფა სახელმწიფოს არა მხოლოდ ნეგატიური (სახელმწიფოს ვალდებულება, თავი შეიკავოს კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისაგან), არამედ პოზიტიური ვალდებულებაცაა (უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფა). „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია ბავშვთა ქონებრივი უფლებების დასაცავად სახელმწიფოსაგან განსაკუთრებული, ეფექტური ზომების მიღებას მოითხოვს, რამდენადაც არასრულწლოვანებს სახელმწიფოსაგან მათი ქონებრივი უფლებების დაცვის ლეგიტიმური მოლოდინი გააჩნიათ.⁵

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ *საქმეში ლაზარევი რუსეთის წინააღმდეგ*⁶ განმარტა, რომ მას შემდეგ რაც ქონება ბავშვის საკუთრება ხდება, მიუხედავად იმისა, თუ რა საფუძვლით, კერძოდ, მემკვიდრეობით, ჩუქებით და ა. შ., მისი უფლება ქონებაზე იმთავითვე დაცვის ქვეშ ექცევა და, შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, მეურვეობის ორგანოს ნებართვის არსებობა მისი განკარგვის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის,

⁵ Case of S.L. and J.L. vs. Croatia, 07.05.2015 Judgment

⁶ Case of Lazarev vs. Russia, 05.01.2007 Judgment



სავალდებულოა. აქვე სასამართლო განმარტავს, თუ რა მიზანს ემსახურება ბავშვის ქონების განკარგვის საქმეში კანონმდებლობით სავალდებულო პირობად აღიარებული მეურვეობის ორგანოს თანხმობა. სასამართლოს განმარტებით, ბავშვები და მოხუცი ადამიანები ბინებთან დაკავშირებული თაღლითური ტრანზაქციების მთავარი სამიზნეები არიან, შესაბამისად, მეურვეობის ორგანოს ინტერესი, არ დაუშვას არასრულწლოვანის ქონების გასხვისება, არის ლეგიტიმური და გამლიერებული დაცვის ღირსი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მეურვეობის ორგანო მოწოდებულია, დარწმუნდეს, რომ ბავშვის ფინანსური ინტერესები და უფლება საცხოვრებელ სახლზე ბოროტი ან გულგრილი მოქმედებებით მათი კანონიერი წარმომადგენლების, მათ შორის ბიოლოგიური მშობლების მხრიდან, არ ირღვევა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *ს.ლ. და ჯ.ლ. ხორვატიის წინააღმდეგ*⁷ განმარტა, რომ იმ დავებში, რომლებშიც ბავშვები არიან ჩართულნი, მათი საუკეთესო ინტერესები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული. ამ მხრივ, სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ არსებობს **სრული კონსენსუსი, მათ შორის, საერთაშორისო სამართალში, იმ იდეის მხარდასაჭერად, რომ ყველა გადაწყვეტილებაში, რომელიც ბავშვებს უკავშირდება, მათი საუკეთესო ინტერესები არის უპირატესი.** გარემოებათა სადავოობის შემთხვევაში, სწორედ ბავშვის ინტერესებს ენიჭება უდავო მტკიცებულებითი ძალა. ამ მიმართებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აპელირებს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დებულებებზე და განმარტავს, რომ ბავშვს უფლება აქვს, მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და მხედველობაში იქნეს მიღებული როგორც უპირატესი ღირებულება ყველა მოქმედებასა და გადაწყვეტილებაში, რაც უკავშირდება მას, ორივე - საჯარო და კერძო სფეროში. სასამართლო პრეცედენტები აჩვენებს, რომ ეს მოსაზრებები მნიშვნელოვანია ასევე ბავშვის ქონებრივი უფლებების დაცვის სფეროში, რაც პირველი ოქმის პირველი მუხლის რეგულირების რეჟიმში ექცევა. ამგვარად, სასამართლომ უნდა შეაფასოს, თუ როგორი იყო შიდა ხელისუფლების ქმედებები ბავშვის ქონებრივი უფლებების დასაცავად სხვების, მათ შორის, კანონიერი წარმომადგენლებისა და ბიოლოგიური მშობლების მხრიდან, ნებისმიერი არაკეთილმოსურნე ან გულგრილი ქმედებების წინააღმდეგ.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ ბავშვის ქონებაზე დადებული იპოთეკის ხელშეკრულებები, როგორც უპირატესი ღირებულების, კერძოდ, **„ბავშვის უპირატესი ინტერესის“** ხელმყოფი გარიგებები, კანონწინააღმდეგობის საფუძველით, ბათილია. პალატა ამავდროულად ყურადღებას ამახვილებს კრედიტორის ბიზნეს ინტერესზე, მით უფრო, იმ ფონზე, რომ განსახილველ შემთხვევაში, ბავშვს ბიოლოგიური მშობლები წარმოადგენდნენ და მათი ნების ნამდვილობა ბავშვის ქონებასთან მიმართებით სანდოობის მაღალი ხარისხით სარგებლობდა, თუმცა, პალატა განმარტავს, რომ კრედიტორის ეკონომიკური ინტერესი და ბიოლოგიური მშობლის მიერ გამოხატული ნებისადმი კანონიერი ნდობის დეტალი ყურადსაღები და მნიშვნელოვანია, თუმცა, ინტერესთა ურთიერთშეწონადობის ფონზე, ბავშვის ინტერესი უპირატესია.

4.8. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და იგი შეზღუდულია საპროცესო სამართლებრივი წესრიგით.

⁷ Case of S.L. and J.L. vs. Croatia, 07.05.2015 Judgment



იურიდიული ინტერესი საპროცესო წესრიგის შემადგენელი ნაწილია, რომელიც აღიარებითი სარჩელის სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს. განსახილველ შემთხვევაში წარდგენილი სარჩელი აღიარებითია და ეროვნული საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მისი განხილვის წინაპირობას იურიდიული ინტერესის არსებობა წარმოადგენს.

დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი განიმარტება, როგორც სამართლებრივი შედეგი (მოცემულ შემთხვევაში - სადავო უმრავლესობაზე საკუთრების უფლების აღდგენა), რომლის მიღწევაც სურს დაინტერესებულ პირს და იგი არსებობს იმ შემთხვევაში, თუ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, იკვეთება აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილებით მისი მიღწევის შესაძლებლობა. ხოლო თუ აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგი ვერ მიიღწევა, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება გაუმართლებელია.

განსახილველ შემთხვევაში, გამომდინარე იქედან, რომ საქმე ეხება არასრულწლოვანის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, სააპელაციო პალატა, აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის, როგორც საპროცესო-სამართლებრივი საფუძვლის, შეფასებისას, მიუთითებს „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პარაგრაფის მოთხოვნებზე, რომელიც წევრი ქვეყნებისათვის **სამი განსხვავებული სახის ვალდებულების ფარგლებს ადგენს**, კერძოდ:

(ა) ვალდებულებას, რომ ყველა მოქმედებაში, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს ბავშვზე, ამასთან განურჩევლად იმისა, ამას სახელმწიფო, კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული, თუ საკანონმდებლო ორგანოები ახორციელებენ, უზრუნველყონ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა;

(ბ) ვალდებულებას, უზრუნველყოს, რომ ყველა სასამართლო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, ისევე როგორც ბავშვთან დაკავშირებული პოლიტიკა და კანონმდებლობა, დემონსტრირებას უწევდეს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება;

(გ) ვალდებულებას, უზრუნველყოს, რომ ბავშვის ინტერესები შეფასებული და მხედველობაში იქნას მიღებული კერძო სექტორში მიღებულ ყველა გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებში, მათ შორის, ნებისმიერი კერძო პირის, ორგანიზაციის ან ინსტიტუტის გადაწყვეტილებებში, რომლებიც ბავშვის ინტერესებს უკავშირდება, ან მასზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია⁸.

ამდენად, „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია, ბავშვს ანიჭებს უფლებას, რომ მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და მხედველობაში იქნას მიღებული როგორც უპირატესი მნიშვნელობის მქონე ყველა მოქმედებასა და გადაწყვეტილებაში, როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში და ეს პრინციპი ამ კონვენციის ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულებაა.

პალატა ასევე მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს იმ იურიდიულ ინტერესზე, რომელიც მოსარჩელეებს წარმოადგენილი სასარჩელო მოთხოვნის მიმართ გააჩნიათ. ამ მიმართებით, პალატა განმარტავს, რომ პირს დარღვეული უფლების აღდგენა სხვადასხვა გზით შეუძლია. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში უფლებადარღვეულ სუბიექტს იმ პირისაგან ზიანის ანაზღაურების უფლება გააჩნია, ვინც მისი უფლება, თუ კანონიერი ინტერესი განზრახ ხელყო ან გულგრილად და გაუთვითცნობიერებლად შელახა. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ წარმოადგენილ აღიარებით სარჩელს ნამდვილი იურიდიული ინტერესი უდევს საფუძვლად. უფრო მეტიც, პალატა მიიჩნევს, რომ ყველა დავა,

⁸ General comment No. 14 (CRC/C/GC/14, 29 May 2013)



რომელიც ბავშვის ინტერესს ეხება, სასამართლოს მხრიდან განხილვასა და სათანადო რეაგირებას ექვემდებარება მაშინაც, თუ მოთხოვნა აღიარებითი ხასიათისაა, ხოლო იურიდიული ინტერესი კი დაუსაბუთებელია. პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბავშვის კანონიერი ინტერესების ხელყოფის ფაქტი, თუნდაც, მხოლოდ დეკლარაციულ დონეზე, დადგენასა და აღიარებას საჭიროებს, რათა სახელმწიფომ საკანონმდებლო ბერკეტებისა, თუ სხვა ლეგიტიმური მექანიზმების გამოყენების გზით, ამგვარი ფაქტების აღმოფხვრა და შემდგომი პრევენცია მოახდინოს.

განსახილველ შემთხვევაში, პალატა ხელმძღვანელობს „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პარაგრაფის მოთხოვნებით, ითვალისწინებს ქართული სახელმწიფოს მიერ „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციით (მე-3 მუხლის პირველი პარაგრაფი) ნაკისრ ვალდებულებებს (1. „ყველა მოქმედებაში, რომელსაც... სასამართლოები... ახორციელებენ, უზრუნველყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა“; 2. „ყველა სასამართლო ... გადაწყვეტილება... დემონსტრირებას უწევდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატეს მნიშვნელობას“); ასევე, ეყრდნობა ევროპული სასამართლოს მიერ დეკლარირებულ „ბავშვის საუკეთესო ინტერესების“ კონცეფციას („თუ სამართლებრივ ნორმას ერთზე მეტი განმარტება შეიძლება მიეცეს, არჩეულ უნდა იქნეს ის განმარტება, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ყველაზე ეფექტურად ემსახურება“) და ასკვნის, რომ მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის იურიდიული ინტერესი, როგორც სარჩელის დასაშვებობის ფორმალური წინაპირობა, არ შეიძლება ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციით გარანტირებული უფლებების რეალიზაციის და სახელმწიფოს მიერ არასრულწლოვანის საკუთრების, როგორც უპირატესი უფლების, დაცვის დამაბრკოლებელ გარემოებად იქნას მიჩნეული.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს, შესაბამისად, პალატა ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და ასკვნის, რომ იგი უცვლელად უნდა დარჩეს.

6. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს - სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც იმას ნიშნავს, რომ აპელანტის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი რჩება სახელმწიფო ბიუჯეტში.



**სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ
დაადგინა**

1. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯ. კ.-ს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება;
3. აპელანტის მიერ გადახდილი ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.
4. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მისი სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით დასაბუთებული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით;
5. განჩინების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება განჩინების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია განჩინების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია, განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება განჩინების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

თავმჯდომარე ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები გოდერძი გიორგიშვილი

ნატალია ნაზდაიძე